საქართველოს მოსამართლეთა XXXI კონფერენცია

23 ოქტომბერი, 2022 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

11:00 - 12:00 სთ:
მოსამართლეთა რეგისტრაცია

12:00 - 17:00 სთ:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ანგარიშის მოსმენა

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის ანგარიშის მოსმენა

3. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა

(დამოუკიდებელი საბჭოს მოსამართლე წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა

(იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3 - ის უმრავლესობით).

6. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრის/წევრების არჩევა

(სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. კანდიდატად არ შეიძლება დასახელდეს პირი, რომელსაც უკავია ან ბოლო 1 წლის განმავლობაში ეკავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ასევე - პირი, თუ მას ბოლო 5 წლის განმავლობაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3 - ის უმრავლესობით).

7. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი/წევრების არჩევა

(კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე).

8. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრებიდან ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა

(კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს).